ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 604

ქ. თბილისი 4 სექტემბერი 2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში - შემსყიდველი) მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა #8, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, ს/კოდი - 204383176, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით და მეორეს მხრივ

მიმწოდებელი: შპს „ელიტა ბურჯი"; საიდენტიფიკაციო კოდი: 206120437;

მისამართი: თბილისი, ისნის რაიონი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ., №118ა ტელ: (0322) 79 13 31

დირექტორი: გიორგი როგავა;

საბანკო რეკვიზიტები: სს „ ბანკი ქართუ ", ბანკის კოდი: CRTUGE22; ა/ა: GE69CR0000000000373605;

მიმწოდებლის თეთრ სიაში რეგისტრაციის საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 18 აპრილის N1080 განკარგულება. თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის ბოლო დღე: 2019 წლის 18 აპრილი.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - **ქ. თბილისში, გულუას ქ.N6-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეფუთვის სამუშაოების შესყიდვა.** სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა, შემოთავაზებული მასალების (ალუმინის პროფილი და მინა) მწარმოებელი ფირმების შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. (სულ: 7 (შვიდი) ფურცელი).

2.2 შესყიდვის საშუალება: ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT180010729.**

2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1'801'932.01 (ერთი მილიონ რვაას ერთი ათას ცხრაას ოცდათორმეტი ლარი და 01 თეთრი)** ლარს. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.4 კლასიფიკატორის კოდი: CPV45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები;

2.5 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და ძალაშია 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, მაგრამ არაუადრეს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

3. სამუშაოს შესრულების პირობები, ვადა და ადგილი

3.1. სამუშაოების შესრულების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღე.

3.2 მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი უნდა წარმოადგინოს და შემსყიდველთან შეათანხმოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში. მიმწოდებლის მხრიდან სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია ივანე აბაძიძე, ტელ. ნომერი: 595581414, პროექტის ხელმძღვანელია ივანე აბაშიძე, სამუშაოთა მწარმოებელი - ბესიკ ღვალაძე.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

3.4 სამუშაოების შესრულების ადგილი: ქ. თბილისში, გულუას ქუჩა N6.

3.5 სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საჭირო დამატებითი მასალები, ნახაზები და მიმწოდებლის მიერ ხარჯთაღრიცხვასთან ერთად წარმოდგენილი სხვა დოკუმენტები ატვირთულია ზემოაღნიშნულ ტენდერში (იხ. სატენდერო დოკუმენტაცია და პრეტენდენტის სატენდერო წინადადება).

3.6 სამუშაოების დროს მიმწოდებლის მიერ გამოყენებული პროფილები და აქსესუარები (საკეტი, სახელური, შემამჭიდროვებელი რეზინი, ფანჯრის შემთხვევაში გამღები მექანიზმი) უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო პორცედურების დროს შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილ ნიმუშებს.

3.7 სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა- დანადგარებისაგან, მასალებისაგან, სამშენებლო ნარჩენისაგან, ნაგვისგან და ა. შ. ამასთან უზრუნველყოს შენობის და ტერიტორიის დასუფთავება, მათ შორის ე.წ. რემონტის შემდგომი დალაგება-დასუფთავება.

3.8 მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების მიმდინარეობისას დახარჯული კომუნალური გადასახადები გადაიხადოს საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე.

3.9 ალუმინის ვიტრაჟების და მინის ზუსტი ფერი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

3.10 მიმწოდებელს უფლება არ აქვს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ან მისი ნაწილი გადასცეს ქვეკონტრაქტორს.

4. შესრულებული სამუშაოების ხარისხი და გარანტია

4.1 საგარანტიო ვადა შესრულებულ სამუშაოებზე და გამოყენებულ მასალებზე განისაზღვრება მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.

4.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს, ნებისმიერ ეტაპზე, ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამშენებლო სამმართველოს მართვის, კონტროლის და ანალიზის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გალაკტიონ კუჭუხიძე.**

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს კონტროლის განხორციელებაში. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

5.4 შესრულებული სამუშაოების კალენდარულ გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი პერიოდულად ახორციელებს კონტროლს. კონტროლის შედეგები აისახება შესაბამის ოქმში, რომელსაც ხელს აწერეს როგორც შემსყიდველის ასევე ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით. მათ შორის: აწარმოოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი, გამოსაყენებელი მასალების ლაბორატორიული გამოცდები და შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს გამოყენებული მასალა- ნაკეთობების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ლაბორატორიული დასკვნები, სერტიფიკატები და სხვა).

5.6 მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

5.7 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.8 შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული საქმიანობები.

5.9 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში და საერთაშორისო მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფორმა N3-ის ან/და მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ამასთან, შესრულებული სამუშაოების (ან მისი ნაწილის) დასრულების თარიღად ჩაითვლება დადასტურებული ფორმა N2-ით ან/და ფორმა N3-ით განსაზღვრული სამუშაოს დასრულების თარიღი.

6.2 იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობების ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას, აღნიშნული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს), აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

6.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამშენებლო სამმართველოს მართვის, კონტროლის და ანალიზის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გალაკტიონ კუჭუხიძე.**

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად „მიმწოდებლის" მხრიდან დადასტურებული სამუშაოს შესრულების აქტის (ფორმა N3) და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

7.3 შესრულებულ სამუშაოზე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით.
7.4 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის (ორგანიზაციის) მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება შემსყიდველს.
7.5 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, საავანსო თანხის 25%-ის უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა 90 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას).
7.6 ხელშეკრულების 7.5 პუნქტით გათვალისწინებული ავანსად მიღებული თანხის გამოქვითვა მოხდება დარჩენილი ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ.
7.7 შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ 2018 წლის 10 დეკემბრის შემდეგ შესასრულებელი (დარჩენილი) სამუშაოების ღირებულების (7.5 პუნქტის შესაბამისად გადახდილი ავანსის გამოკლებით) ანაზღაურება განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) სახით, რა შემთხვევაშიც, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, პრეტენდენტი ვალდებულია არაუგვიანეს 2018 წლის 17 დეკემბრისა წარმოადგინოს საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია (რომლის მოქმედების ვადა 90 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას).
7.8 ხელშეკრულების 7.5 და 7.7 პუნქტების მიზნებისთვის წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიები წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინა სადაზღვეო კომპანია/საბანკო დაწესებულების სს.„ქართუ ბანკის“ მიერ გაცემული, ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია N6150-09/18 გაცემული 2018 წლის 03 სექტემბერს თანხით 45,065.00 (ორმოცდახუთი ათას სამოცდახუთი) ლარი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 10 აპრილის ჩათვლით.
8.2 შპს „ელიტა ბურჯის“ თეთრ სიაში ყოფნის გამო, ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2.5%-ის ოდენობით.
8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაუბრუნოს საბანკო გარანტია ან/და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში.
8.4 მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში დაუბრუნოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.
8.5 გარანტია არის უპირობო, ე.ი გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველივე მოთხოვნისთანავე.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების **0,15%-ის** ოდენობით.
9.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის (ხელშეკრულების 3.1 და 4.2 პუნქტები) გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.1%-ის** ოდენობით.
9.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრულად.
9.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) ჩაბარებიდან ან/და 15.2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გადაგზავნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.
9.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) 3.2 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის ვადების ორჯერ ერთმანეთის მიყოლებით დარღვევის შემთხვევაში.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

10.6 ამ მუხლის პირველსა და მე-5 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, საჯარო სამართლის კორპორაცია „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“ დასკვნა ფორსმაჟორის დადასტურების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

12.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

12.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

12.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და

წესებით, აგრეთვე პროექტით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

12.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2 სამუშაოების წარმოების პროცესში, სამუშაოს ახალი პოზიცი(ებ)ის წარმოქმნის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ცვლილება (ახალი პოზიციის დამატება) განხორციელდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნით ან მშენებლობის შემფასებელთა კავშირის „სამშენებლო რესურსების ფასებით" განსაზღვრული ფასის ფარგლებში, ხოლო ანაზღაურება განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ერთეულის ღირებულებებისა.

13.3 შემსყიდველის მიერ სამუშაოების წარმოების პროცესში, სამუშაოს ახალი პოზიცი(ებ)ის ინიცირების შემთხვევაში, ექსპერტიზის მომსახურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ღირებულება

14.1. მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

14.2. ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

14.4 სამუშაოების წარმოების პროცესში, სამუშაოს ახალი პოზიცი(ებ)ის წარმოქმნის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ცვლილება (ახალი პოზიციის დამატება) განხორციელდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნით ან მშენებლობის შემფასებელთა კავშირის „სამშენებლო რესურსების ფასებით" განსაზღვრული ფასის ფარგლებში, ხოლო ანაზღაურება განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ერთეულის ღირებულებებისა.

14.5 შემსყიდველის მიერ სამუშაოების წარმოების პროცესში, სამუშაოს ახალი პოზიცი(ებ)ის ინიცირების შემთხვევაში, ექსპერტიზის მომსახურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

14.6. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

15.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის მხრიდან პროექტის მენეჯერი: ივანე აბაშიძე; ტელ: 595581414; ელ. ფოსტა: vano-elita@mail.ru

ბ) მიმწოდებლის მხრიდან სამუშაოთა მწარმოებელი: ბესიკ ღვალაძე; ტელ:599420171; ელ. ფოსტა: besik.ghvaladze@elitaburji.com;

გ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი: გალაკტიონ კუჭუხიძე; ტელ: 577 96 04 47; ელექტრონული ფოსტა: g.kuchukhidze@mia.gov.ge;

15.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

15.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

16.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

16.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

16.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17.4 „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

17.5 „ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების" შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების" სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების" შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

18. მხარეთა იურიდიული ეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შსს ეკონომიკური დეპარტამენტის	შპს „ელიტა ბურჯი"-ს დირექტორი
დირექტორი	
თეა მელაძე	გიორგი როგავა